საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 0001038548

26/10/2020

„შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936797 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1„შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის №936797 გადაწყვეტილების მე-5, მე-6 პუნქტებში და დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 18 მარტი;
1.2. გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 18 სექტემბერს“;
1.3. კვალიფიკაციის დასახელება - ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი;
1.4. ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი - 2020 წლის 18 სექტემბერი;
1.5. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 2021 წლის 18 მარტი;
1.6 აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი - 2027 წლის 18 სექტემბერი;
2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის N1037123 სხდომის ოქმის N06 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა